ფრანგული **„ოტეიდიენ დე პარის“** აზრით შეპირაპირება გიგანტური ნაბიჯია კოსმოსის კვლევის გზაზე ეს არის ნამდვილი პრემიერა კოსმოსავტიკაში, ექსპერიმენტი, რომელიც ხახავს კოსმოსური სივრცის შემდგომი კვლევის ფართო გზას. „სტვირთო ექსპრესი კოსმოსში“ — ასე უწოდებს პარიზის **„ლუმანიტე“** „პროგრეს-1“ ავტომატურ ხომალდს, ამასთან ხაზს უსვამს, რომ მსოფლიოში პირველად გაჩნდა სატრანსპორტო ხიდი „დედამიწა-ორბიტა“. (საკდესი).

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲘᲣᲯᲔᲢᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯ. კარტერმა კონგრესს გაუგზავნა ამერიკის შეერთებული შტატების 1979 საფინანსო წლის ფედერალური ბიუჯეტის პროექტი (საფინანსო წელი 1 ოქტომბერს იწყება).

ბიუჯეტის პროექტში ისახა ის სერიოზული ეკონომიკური სიძნელენი, რომლებიც შეერთებულ შტატებს დაუდგა. მაგალითად, იგი ითვალისწინებს გასავლის 500,2 მილიარდი დოლარის ოდენობით, მაშინ, როდესაც მათი დასაფარავი შემოსავალი დაგეგმილია სულ 439,6 მილიარდი დოლარის ოდენობით.

ამრიგად, ბიუჯეტს 60,6 მილიარდი დოლარი დეფიციტით დამოავრებენ.

საბიუჯეტო ხარჯების მეტ ნაწილს შეადგენს სამხედრო ასიგნებანი. ამავე დროს განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა სოციალური პროგრამებისათვის განკუთვნილი ხარჯები სულ უმნიშვნელოდ გაიზარდა ნომინალურად, ხოლო ინფლაციას თუ გავითვალისწინებთ, ბევრ მუხლში ფაქტიურად შემცირდა კიდეც.

საერთო სამხედრო ხარჯები 1979 წელს გაიზრდება 128,4 მილიარდ დოლარამდე მიმდინარე საფინანსო წლის 116,7 მილიარდ დოლართან შედარებით. ახალ სისტემათა ბირთვული იარაღის, მათ შორის ფრთიანი რაკეტების მუხტების შემუშავებისა და წარმოებისათვის გამოყოფილია 1,39 მილიარდი დოლარი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ხარჯებს, რომლებიც ნატოს სამხედრო სამზადისის გაძლიერებასთან არის დაკავშირებული.

ბიუჯეტის სამხედრო „არი არ ასახავს ყველა იმ ასიგნებას, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მანქანის გაძლიერებისათვის არის დაგეგმილი. მასში, მაგალითად, არ არის შეტანილი ხარჯები, რომლებიც მოხმარდება სამხედრო ხასიათის მუშაობასა და კვლევას სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხაზით, და რომლებიც მარტო ენერგეტიკის სამინისტროში 2,8 მილიარდ დოლარს შეადგენს. მიმდინარე საფინანსო წელს, როგორც ცნობილია, „საზოგადოებრივ სამუშაოთა“ მუხლით ამ სამინისტროს დაგეგმილი ჰქონდა ნეიტრონული იარაღის შესაქმელად.

უზარმაზარი თანხები ხმარდება საგარეო პროპაგანდას. ამერიკის ინფორმაციისა და კულტურული გაცვლის სააგენტო, რომელიც „იუსია“-ს ნაცვლად იქმნება, 1979 საფინანსო წელს მიიღებს 393 მილიონ დოლარს, ხოლო საჯაშუშო-ძიერგამომთხრელი რადიოსადგურები „თავისუფალი ევროპა“ და „თავისუფლება“ — 79 მილიონ დოლარს, ანუ 6 მილიონი დოლარით მეტს მიმდინარე საფინანსო წელთან შედარებით.

ისევე როგორც წინა წლებში, ბიუჯეტის თავური ტვირთი გადასახადის გადამხდელთ დააწვება. საბიუჯეტო შემოსულობის 38 პროცენტს შეადგენს სახსრები, რომლებსაც მოსახლეობას გადაახდევინებენ ინდივიდუალური საშემოსავლო გადასახადის სახით. ამავე დროს კორპორაციათა გადასახადი საბიუჯეტო შემოსულობის მხოლოდ 13 პროცენტს შეადგენს.

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲨᲘ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის ვიზიტი

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 24 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს აქ მყოფი დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ბ. ნ. პონომარიოვი, ეწვია ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს.

კონგრესის ორივე პალატის — სენატისა და წარმომადგენელთა პალატის სახელით დელეგაციას მიესალმნენ სენატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერი რ. ბერდი, სენატის რესპუბლიკური უმცირესობის ლიდერი გ. ბეიკერი, წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიული ფრაქციის ლიდერი ჯ. რაიტი და კონგრესის სხვა ხელმძღვანელი წევრები. მათ ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი პოზიტიური მნიშვნელობა აქვს საბჭოთა სპარლამენტო დელეგაციის ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში და გამოთქვეს რწმენა, რომ ახლანდელი კონსტრუქციული გაზიარება შეესაბამება შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერესებს და სასიკეთო გავლენას მოახდენს საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაზე.

შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრებმა და ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის სენატის წევრებმა ერთმანეთს აზრი გაუზიარეს.

დისკუსიის ძირითად საკითხებზე განხილვადა გააკეთა საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ბ. ნ. პონომარიოვმა.

ᲠᲐᲡᲘᲖᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ

ᲑᲐᲖᲔᲚᲘ, 24 იანვარი (საკდესი). აქ გაიმართა საერთაშორისო შეხვედრა რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო კონფერენციის მოსამზადებლად, რომელიც მოწვეულია მშვიდობის მსოფლიოს საბჭოს ინიციატივით მომდინარე წლის მაისში. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ყველა კონტინენტის მშვიდობის მოძრაობის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, მათ შორის სამხრეთ აფრიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტივისტებმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში ანტირასისტული გამოსვლების მონაწილეებმა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აპარტიდიის წინააღმდეგ მებრძოლი სპეციალური კომიტეტის, აგრეთვე მთელი რიგი სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა მსოფლიო საზოგადოებრიობისადმი, რომელშიც მოუწოდებენ გააქტიურონ მოქმედება რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ხალხთა ბრძოლის მხარდასაჭერად.

მოსამზადებელმა კომიტეტმა მოუწოდა ყველა საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციას ყოველნაირად შეუწყონ ხელი მსოფლიო კონფერენციის მომზადებას და მონაწილეობა მიიღონ მის მუშაობაში.

ᲑᲐᲖᲔᲚᲘᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ. 24 იანვარი. (საკდესი). თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ბ. ეჯევითმა პრესკონფერენცია გამართა ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის, რომელზეც, კერძოდ, განაცხადა: „ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განვითარებას. უკანასკნელი წლის მანძილზე კონკრეტულ დადებითს შედეგებს მივაღწიეთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობაში“.

შეეხო რა ახლო აღმოსავლეთის ამბებს, ბ. ეჯევითმა თქვა: „არა მგონია, რომ ამ რაიონში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის მიღწევა შეიძლებოდეს პალესტინის არაბი ხალხის კანონიერ უფლებათა აღიარების გარეშე“.

ᲐᲮᲚᲝ ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

ᲩᲘᲮᲨᲘ ᲛᲝᲔᲥᲪᲜᲔᲜ

სპპარატული მოლაპარაკება, რომელსაც ეძღვნა ორი თვეა ეგვიპტე ისრაელთან, ჩიხში მოექცა — ასეთი დასკვნა გამოაქვს მსოფლიო პრესას, რომელიც ახლო აღმოსავლეთში მოვლენათა განვითარებას ანალიზებს. გაზეთები ყურადღებას მიაპყრობენ ისრაელის მთავრობის იმ გადაწყვეტილებას, რომ არ გაგზავნოს თავისი დელეგაცია კაიროში, სადაც გუშინ უნდა განახლებულიყო ეგვიპტე-ისრაელის სამხედრო კომიტეტის მუშაობა, ამასთან აღნიშნავენ, რომ ეს გადაწყვეტილება მიიღეს სულ რამდენიმე დღეში მას შემდეგ, რაც იერუსალიმში შეწყდა ორმხრივი პოლიტიკური კომიტეტის მუშაობა. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი“ წერს, რომ სადათის ხელი მოეცარა, „ლოგიკურ ჩიხს“ უწოდებს ეგვიპტის პრეზიდენტის ორი თვის გარჯის ამაო ნაყოფს პარიზის „ფიგარო“. როგორც მოსალოდნელი იყო, აღნიშნავს გაზეთი „ლუმანიტე“, სადათის ინიციატივამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ეგვიპტის პრეზიდენტმა ისრაელი იმპანიც კი ვერ შეიპარა, რომ მოწესრიგების მთავარი საკითხებიდან ერთში მაინც დაუთმობდა რაიმეს.

საზღვარგარეთის პრესა წერს: ოფიციალურ ვაშინგტონში ამბავი დააყენეს ისრაელთან მოლაპარაკებას სპპარატული ზავის შესახებ, და სადათი ახალ-ახალ რევერანსებს უკეთებს ამერიკის შეერთებულ შტატებს. თან ყოველნაირად უსვამს ხაზს თავისი პოლიტიკის ანტისაბჭოთა არსს. ეგვიპტის პრეზიდენტს, წერს გაზეთი „მატენი“, ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში ამერიკის ინტერესების მთავარ ქომაგად მოაქვს თავი. სადათი თავის გამოსვლებში თავს ესხმის საბჭოთა კავშირს და ცდილობს ყველას დაანახოს, რომ იგი ანტიკომუნიზმის ნამდვილი ბურჯია, ხაზს უსვამს „ორორი“. მას სურს ვაშინგტონს უჩვენოს რომ ეგვიპტე, ისევე როგორც ისრაელი, შეერთებულ შტატებს გამოადგება ამერიკის ინტერესების დამცველ ენდდარმად.

არაბეთის პრესა აღნიშნავს, რომ ჯიუტი პოზიცია, რომელსაც ისრაელი ადგას, არა თუ არ აღიბინებს ხელს სადათს კაპიტულანტურ პოლიტიკაზე, არამედ, პირიქით, აიძულებს ახალ დათმობებს შეურიგდეს. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ყოვლისმომცველ მოწესრიგებაზე ზოგადი ლაპარაკით, ხაზს უსვამს ლიბანის გაზეთი „ალ-ლიგი“, სადათი აპირებს კვლავაც ეცადოს ისრაელთან სპპარატული მორიგების მიღწევას. სიონისტური წრეები, აღნიშნავს ბაღდადის „ტარიკ აშ-შაბი“, ხედავენ, რომ ეგვიპტის პრეზიდენტი სრულ იზოლაციაში მოექცა, და აშკარად მოითხოვენ, რომ სადათმა მხარი დაუჭიროს მთს ექსპანსიონისტურ პრეტენზიებს და დათანხმდეს არაბთა ტერიტორიების ოკუპაციის უკვდავყოფას. ეგვიპტის რეჟიმის მშადყოფნა განაგრძოს სპპარატულ მორიგებათა გზა. წერს გაზეთი, მას მიიყვანს სრულ კაპიტულაციამდე ისეთი პირობებით, როგორსაც ისრაელი მოისურვებს.

(საკდესი, 23 იანვარი).

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲒᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲘᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲚᲝᲖᲔ

ᲣᲙᲔᲗ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲝᲓᲔᲡᲛᲔ

ᲙᲚᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲕᲔᲚᲝᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲐ

უკანასკნელი წლების მანძილზე დიდად გაუმჯობესდა მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობები, ამას ნათლად ადასტურებს ჩვენი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საოჯახო ბიუჯეტი, ნათლად ეტყობა მოწმობენ, რომ თითოეული ოჯახის შემოსავალი საშუალოდ 60 პროცენტით გაიზარდა; ამავე დროს კიდევ უფრო მრავალფეროვანი გახდა მოხახლეობის კვების სტრუქტურა.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დღეს უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ოდესმე. და ამის ოპტიკური დასტურის იძლევა რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საოჯახო ბიუჯეტი. მისი შემოსავალ-გასავლის ანალიზი.

ოჯახის ბიუჯეტი წაგვიკითხავს ოჯალს და ყოველთვიურ ფორმულას, რომელშიც, როგორც სარკეში, ისე მოჩანს ადამიანთა სასიკეთოდ განხორციელებული ღონისძიებათა საერთო და კონკრეტული შედეგები. მასში, როგორც ფოკუსში, თავს იყრის ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისათვის საჭირო ბერკეტების ერთობლიობა: ხელფასი, რეალური შემოსავალი, მოხმარების დონე, ეხოვრების პირობები, მოთხოვნილება, ეროვნული შემოსავლის ზრდა, ბოლოს და ბოლოს ჩვენ ქვეყნის მთელი ეკონომიკური ძლიერება.

და ეს ყველაფერი კარგად ჩანს საბჭოთა საქართველოს ოჯახების მაგალითზეც.

მოვმართოთ ციფრებსა და ფაქტებს.

ანსებითი ცვლილებები განიცადა ჩვენი რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა საოჯახო ბიუჯეტმა. მარტო უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში მისი ერთობლივი შემოსავალი, ერთ ოჯახზე გაანგარიშებით, 1977 მანეთიდან 3070 მანეთამდე, ე. ი. 60 პროცენტით გაიზარდა. მნიშვნელოვნად შეიცვალა დანახარჯების სტრუქტურა. განსაკუთრებით სწრაფად იზრდება მშრომელთა მიერ ხანგრძლივი სარგებლობის იმ საქონლის შესყიდვა, რომელიც აუმჯობესებს და აალამაზებს ყოფა-ცხოვრებას — საოჯახო მანქანებისა და ხელსაწყოების, ოქროსა და ბეტონმობილების შესყიდვა. თუ 1970 წელს ტელევიზორი ორი ოჯახიდან ჰქონდა ერთს, ახლა იგი სამიდან ორ ოჯახს აქვს, წინათ ერთი მაცივარი მოდიოდა სამ ოჯახზე. ახლა მაცივარი ყოველ მეორე ოჯახშია.

ჩვენი რესპუბლიკის კოლეგორნეთა ოჯახების საერთო ზრდასთან ერთად, სულ უფრო მატულობს იმ ხარჯების წილი, რომლებიც მშრომელთა განთლებასა და კულტურის ამაღლების მიზანს ემსახურება. ამასთან ერთად დადებითი მოვლენაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის კოლეგორნეთა საოჯახო ბიუჯეტში სისტემატიურად მატულობს საზოგადოებრივი მეურნეობებიდან, კერძოდ, კოლეგორნეობებიდან მიღებული შემოსავლის წილი. თუ იგი 1970 წლისათვის მხოლოდ 20,2 პროცენტს უდრიდა, ახლა იგი 30 პროცენტს აღემატება. რა თქმა უნდა, ამის შესაბამისად ბევრად მცირდება დამხმარე მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის როგორც აბსოლუტური მოცულობა, ისე მისი ხვედრითი წილი. სპეციალურად გამოკვლეულ ერთ ოჯახზე გაანგარიშებით, ასეთი შემოსავალი შეადგენდა: 1970 წელს — 1829 მანეთს, ანუ ოჯახის მთელი შემოსავლის 57,6 პროცენტს, 1975 წელს კი 1543 მანეთს, ანუ 38,5 პროცენტს (შევნიშნავთ, რომ სსრ კავშირის მასშტაბით ეს მაჩვენებელი 26,3 პროცენტის ტოლია).

ჯეროვან ყურადღებას იმსახურებს მუშა-მოსამსახურეთა და კოლეგორნეთა ერთობლივი ფლობილი შემოსავლის კეთილსწინდის პროცესი. უკანასკნელ, 1965 წლის ფასებში აღრიცხული მუშა-მოსამსახურეთა ერთი ოჯახის ბიუჯეტი 1970 წელს 2445 მანეთს უდრიდა, კოლეგორნეთა ოჯახისა კი 2977 მანეთს, ე. ი. 532 მანეთით, ანუ 22 პროცენტით მეტს. 1976 წელს სხვაობამ 18 პროცენტი შეადგინა.

სრულიად განსხვავებული სურათი გვაქვს ოჯახის ერთ წევრზე გაანგარიშებული შემოსავლის მიხედვით. როგორც ცნობილია, მუშა-მოსამსახურეთა ოჯახები უფრო მცირერიცხოვანია, ვიდრე კოლეგორნეთა ოჯახები.

ამის გამო ოჯახების საშუალოდ ერთ წევრზე გაანგარიშებული შემოსავალი სულ სხვა სურათს იძლევა. პროდუქტიული შედარების თვალსაზრისით საინტერესო დამთხვევას ადგილი ადგილ ადგილ ადგილ

ცხოვრება ცდის მომავალ სპეციალისტებს

გამოცდების ბოლო დღეები

სტუდენტთა ზამთრის სესიები დასასრულს უახლოვდება. რესპუბლიკის ცოდნის ტაძარშიც — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხვალიდან ისეთი ხალხმრავლობა როდი იქნება, როგორიც სესიებისა და ჩვეულებრივი სემესტრის განმავლობაში იყო.

რექტორატმა მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისიდანვე განსაკუთრებული მუშაობა გასწია იმისათვის, რომ სპეციალობათა მიხედვით, ყველა ჯგუფში მოწყობილიყო კოლოკვიუმები. სტუდენტების სისტემატურმა მუშაობამ, ნაყოფი გამოიღო, იანვრის სესიები მაღალ დონეზე მიმდინარეობს. გასულ წელთან შედარებით ბევრი „ფრიადი“ და „კარგი“ დაიწერა. რექტორატში კვირის მიხედვით წარმოდგენილი გამოცდების მიმდინარეობის ამსახველი უმრავი ცნობა ვნახეთ. გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის საღამოს განყოფილების სტუდენტებმა 2 იანვრიდან 7 იანვრამდე ტაფიკიით გათვალისწინებული საგნები დროულად ჩააბარეს, ხოლო დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დღის განყოფილების ხუთივე კურსის 358 სტუდენტიდან, 14 იანვრიდან 21 იანვრამდე ჩაბარებული საგნების მიხედვით, ფრიადი მიიღო 147-მა, კარგი — 141-მა, დამაკმაყოფილებელი — 64-მა სტუდენტმა.

აქვე იყო ცნობები კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის საინჟინრო-ეკონომიკური და სხვა ფაკულტეტებიდან.

გამოცდების მეთოდიკაც განსხვავდება წინა წლების მეთოდიკისაგან, მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ცოდნას როდი ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა. მთავარია, როგორ აზროვნებს სტუდენტი, როგორ შეუძლია მას მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება, დასკვნების გამოტანა და სხვა. ამიტომ სტუდენტებს არავინ უშლის გამოცდაზე შეიტანონ პროგრამები, ცხრილები, დამხმარე ლიტერატურაც კი.

კათედრები არადგენების პერიოდში მოაწყობენ დამატებითს მეცადინეობებსა და კონსულტაციებს ჩამორჩენილი სტუდენტებისათვის.

სესიების ბოლო დღეებში ჩვენ დავესწარით რამდენიმე გამოცდას.

ისტორიის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტები პროფესორ მარიამ ლორთქიფანიძეს აბარებდნენ გამოცდას საქართველოს ისტორიაში, 12 სტუდენტიდან რვას ჩაუბარებია გამოცდა. „ფრიადი“ და „კარგი“ ჭარბობს.

ფილოლოგიის ფაკულტეტის რუსული სექტორის მთარგმნელობითი საეციალობის მესამეკურსელებს გამოცდა აქვთ შეპირისპირებინის სტილისტიკაში. პროფესორი გ. წიბახაშვილი ლ. კობაიძეს ცდიდა, ლექტორმა სტუდენტს ჩათვლის წიგნაკში ოთხიანი ჩაუწერა. მოსაფერებელ მერცხეზე გოგონები თამამად სხედან. უწყისს გადავხედეთ, აქაც, „კარგი“ და „ფრიადი“ ჭარბობს. პროფესორიც კმაყოფილია, თქვა ძლიერი ჯგუფიაო. დიდი ანი არ არის, რაც უნივერსიტეტი მთარგმნელებს ამზადებს. დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო რუსულიან ქართულად თარგმასს, არამედ, პირიქით ქართულიდან — რუსულად. ამ მხრივ კადრების შერჩევასა და მომზადებაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ რედაქციებს, გამომცემლობებს, შემოქმედებითს ორგანიზაციებს.

უნივერსიტეტის კორპუსებში ბოლო გამოცდები მიმდინარეობს.

26 იანვრიდან სტუდენტთა არდადეგები დაიწყება.

უნივერსიტეტის პროფკავშირის გაერთიანებული კომიტეტი 20 მოწინავე სტუდენტს დასასვენებლად ბაკურიანში გაგზავნის. მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივის წევრები ახალ ათონში დაისვენებენ. ფასანაურის ტურისტულ ბაზაში კი 40-მდე მოწინავე სტუდენტი წავა. ტურიზმის მოყვარეები იმოუზაურებენ მეგობრობის მატარებლით.

ბ. დურგლიშვილი.



თბილისის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში — ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში შესაბამისი დებულების მიხედვით მიმდინარეობს ზამთრის საგამოცდო სესიები. ამ სურათზე აღბეჭდილმა გოგონებმა საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტებმა — მეოთხეკურსელმა, თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო საბჭოს დეპუტატმა თ. დოლაბაიმ (მარცხნივ) და მესამეკურსელმა ნ. მაჭავარიანმა წარმატებით ჩააბარეს გამოცდები და ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებენ

შ. მგებრიშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეძღვნება კიკვიძის ხსოვნას...

ყოველი წლის იანვარში, ვაგანკოვსკის სასაფლაოზე, ლეგენდარული გმირის ვასილ კიკვიძის საფლავზე ფაქს იყრიან მისი თანამებრძოლები. დედაქალაქის საზოგადოებრივის წარმომადგენლები, რეკონსტრუქციის ვეტერანები. ასევე 1935 წლიდან, მას შემდეგ, რაც საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებით კიკვიძის ცხედარი სოფელ ზუბრილოვკიდან მოსკოვს გადმოასვენეს.

მხოლოდ 23 წელიწადი იცხოვრა „ქართველმა ჩაპაევმა“, მაგრამ მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩა მილიონობით საბჭოთა ადამიანის გულში. მისი სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენი ქვეყნის მატიანეში.

გმირის საფლავზე მოვიდნენ ყოფილი მე-16 დივიზიის მებრძოლნი, კიკვიძის მეგობრები, ვასილ კიკვიძის სახელობის მოსკოვის ტექშინოს რაიონის 823-ე სკოლის მოსწავლეები, ქართველი მეწარმლები, მეცნიერები საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობის თანამშრომლები. სიტყვები წარმოთქვეს 823-ე სკოლის დირექტორმა ო. პარხიტემ, ვეტერანების სახელით ვ. ბაუდერმა, საქართველოს სსრ მუდმივი წარმომადგენლობის უფროსმა რეფერენტმა ნ. მახარაძემ, საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანმა ჯ. ჩარკვიანმა.

დ. მაჭავარიანი.

ეროვნული ფეხბურთი

კოლკურსი ყველაზე ლამაზ ფიგურაზე

მე-19 სრულიად საკავშირო კონკურსი „წიგნის ხელოვნება“ გამოაცხადეს სსრ კავშირის გამომცემლობა, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა მეცნიერულ-ტექნიკური განყოფილების ცენტრალურმა გამგეობამ. კონკურსზე წარმოდგენილი იქნება საიუბილეო, 1977 წლის გამოცემები, მათ შორის მასობრივი გამოცემები.

კონკურსის შედეგები შეჯამდება მომდინარე წლის აპრილის დამდეგს. (საკავშირო კორ.).

მაღალმთიანი სოფლის სიახლენი

ლენტეხი. (საკ. კორ). უკანასკნელი ერთი წლის ძანძლზე ბევრი სასიხარულო სიახლე შეემატა რაიონის მაღალმთიან სოფლებს. ლესმელმა ბავშვებმა ძიიღეს ახალი რვაწლიანი სკოლის შენობა, ჟახუნდრე ლ ე ბ მ ა — ეთნოლმოწყობილი სასკოლო ინტერნატი, რაცხმელურში აიგო სოფლის ადმინისტრაციული სახლი.

ჯანმრთელობის დაცვის რაიონულ ქსელს შეემატა ჟახუნდრის სასოფლო საავადმყოფოს ახალი შენობა. ლეუმერსა და ლეკოსანგრში გაიხსნა საფერშლო-სამეანო პუნქტები. მშრომელთა სამსახურში ჩადგა კულტურის ბევრი ახალი კერა. მელურში გაიხსნა კულტურის სახლი, ტვიბში — ბიბლიოთეკა, ხოლო ბავარში — სასოფლო კლუბი.

ყინვისაგან იცავენ

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა ყურადღების ცენტრშია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ციტრუსების, ხეხილისა და ვენახების ყინვისა და გაზაფხულის სუხხისაგან დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

აფხაზეთის მეურნეობებში სუბტროპიკული სითბოსმოყვარული ნარგავების დაცვის გარკვეული გამოცდილება აქვთ. მეციტრუსეები ფართოდ იყენებენ ხეების ინდივიდუალურ და ჯგუფურ შებურვას.

ხერათელი: გალის რაიონის კოხორის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა ხაიმედო თანაშემწე გახდა რეაქტიული ტუ-104 თვითმფრინავის ნამუშევარი ძრავა, რომელიც 10-მეტრიან სადგომზე ტრიალებს და ათობით მეტრზე სითბოს ავრცელებს (ზემოთ); აფხაზეთის ასს რესპუბლიკის დამსახურებული ბურლი აგრონომი შ. კონსტანტინოვი დაკვირვებას აწარმოებს კოხორის საბჭოთა მეურნეობის პლანტაციებზე; ასე გამოიყურება ახლა ყინვისაგან დაცული ლიმონის პლანტაციები გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში (ქვემოთ).

ი. ჭოხონელიძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ანბანდი

თოვლის სამეფოსელში

ზუა ზამთარია. საქართველოს მთა-ბარი თეთრ საბურველია გახვეული. ყველაზე დიდი თოვლი — ორ მეტრამდე სიმაღლისა ჯვრის უღელტეხილზეა, ბაკურიანის მომიჯხავე რაიონებში ნახევარ მეტრამდეა, დაბლობებში თოვლის სიმაღლე 20-30 სანტიმეტრს აღწევს.

კახეთის მიმართულებით გზები მოყუხულია.

თოვლი მხოლოდ დასავლეთ საქართველოს მთებშია, ბარში კი წვიმს.

გუშინ 12 საათზე დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში 4-6 გრადუსი სითბო, მთებში 1-3 გრადუსი ყინვა იყო. აღმოსავლეთ საქართველოს უმეტეს რაიონებში თოვა შეწყდა. დაბლობ რაიონებში ნული-ერთი გრადუსი, მთებში 1-3 გრადუსი ყინვა აღინიშნა.

გუშინ 12 საათზე თბილისში ერთი გრადუსი სითბო იყო.

დღეს დასავლეთ საქართველოში მშრალი ამინდია მოსალოდნელი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 5-10 გრადუსი სითბო, ბარში 2 გრადუსი ყინვა — 3 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს უმეტესად აღმოსავლეთ რაიონებში მოსალოდნელია მცირე თოვა, ნული, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 1-3 გრადუსი სითბო, მთებში 2-6 გრადუსი ყინვა.

ეროვნული ფეხბურთი

მანევრულ გრძელვადიანობაში

გუშინ ღამით ჩვენი კორესპონდენტი გ. გამრეკელი დაუკავშირდა ბადაკიანგენს და ესაუბრა მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტის სეკუნდანტ გუხუტი გურგენიძეს. აი, რა გადმოგვცა მან

— მაიამ თამაში დაიწყო მეფის წინა პაიკით, როგორც ამას ძალიან ხშირად აკეთებს ხოლმე. ამაზე კუშნირს რამდენიმე დებიუტი აქვს თავის რეპერტუარში. ამჯერად ის ჩიბურდანიძის მსგავსად მოიქცა და ასევე მეფის წინა პაიკი დასძრა ორ უჯრაზე. გათამაშდა ესპანური პარტიის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც საკმაოდ იშვიათად გვხვდება ბატონიანის პრაქტიკაში. დასაწყისი თეთრების ხასარგებლოდ წარიმართა, მათ მხარეზე იყო პოზიციური უპირატესობა. კუშნირს ბევრი ფიქრი უნდოდა, იგი ცაიტნოტში მოხვედრის საფრთხის წინაშე დადგა. 20 სვლას ჩიბურდანიძემ 1 საათი და 10 წუთი მოანდომა, კუშნირმა — 1 საათი და 45 წუთი. შუა თამაშში მაიას ზედიზედ ორი, არც თუ მთლად ზუსტი (მე-19, მე-20 სვლები) სვლის შემდეგ მდგომარეობა გათანაბრდა.

თამაშში გვიან ღამემდე გრძელდებოდა.

ხელბურთი

პირველად დანიაში

ხვალ დანიის სხვადასხვა ქალაქში იწყება ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო IX ჩემპიონატი. მკითხველს შევახსენებთ, რომ დანია ხელბურთის სამშობლოა, სწორედ აქ „აიდგა ფეხი“ მან როგორც სპორტის ახალმა სახეობამ. და აი ხელბურთის სამშობლო პირველად უმასპინძლებს მსოფლიო ჩემპიონატს. ამ დიდი ასპარეზობის მონაწილე 16 ქვეყნის ნაკრები გუნდები დაყოფილი არიან 4 ქვეჯგუფად. აი როგორ განლაგდნენ ისინი: ქვეჯგუფში „ა“: გფრ, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, კახადა; ქვეჯგუფში „ბ“: რუმინეთი, უნგრეთი, გდრ, საფრანგეთი; ქვეჯგუფში „გ“: სსრ კავშირი, დანია, ესპანეთი, ისლანდია; ქვეჯგუფში „დ“: პოლონეთი, შვეიცია, იაპონია, ბულგარეთი. ქვეჯგუფებში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ შეიქმნება ნახევარფინალური ჯგუფები, ამის მერე კი გაიმართება გადამწყვეტი შეხვედრები საბოლოო ადგილების გასარკვევად.

ქვეჯგუფში, სადაც სსრ კავშირის ნაკრებიც გამოდის, მატჩების განრიგი ასეთია: 26 იანვარი. ორხუსი. დანია — ესპანეთი; სსრ კავშირი — ისლანდია; 28 იანვარი. რანდერსი. დანია — ისლანდია; ოლბორგი. სსრ კავშირი — ესპანეთი; 29 იანვარი. ორხუსი. სსრ კავშირი — დანია; ტისტედი. ისლანდია — ესპანეთი.

ჩვენი კომენტარი:

ცოტა რამ სსრ კავშირის ხელბურთელთა მეტოქეებია მესახებ. საოცარი, რომ დანიელები აბჟამად მასპიძელთა როლში გვევლინებიან, ადასტურებს, რომ საჟოთა გუნდს საკაოდ ძლიერი მეტოქე ეყოლება დანიის ნაკრების სახით. გარდა ამისა, მასპინძლები საკმარისად გაძოცდილი ხელბურთელები არიან და, ამგვარად, სწორედ ხათთან მატჩის შედეგმა უდა გადაწყვიტოს ამ ჯგუფში მოხვედრილი გუნდების შემდგომი ბედი. უნდა გავიხსენოთ ისიც, რომ დანიელებმა 1967 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც შვეციაში გაიმართა, ვერცხლის მედლები მოიპოვეს. ახლა საქმე სხვაგვარად არის, საბჭოთა სპორტსმენებმა მონრეალის ოლიმპიადაში ყვერეს აჯობეს და, საერთოდ, ჩვენი ხელბურთელების საუკეთესო კლასი ამჟამად ერთობ მაღალია. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ჭიდან იყვნენ საქართველოს სპორტსმენები. გავიხსენოთ ჯ. ცირცვაძე, ჯ. აბაშიძეს, ი. ფხაკაძე, ა. ემსაშელიძე და სხვანი. საბჭოთა ნაკრების რიგებში ახლაც ვხედავთ თბილისის „ბურევესტნიკის“ აღზრდილს — ა. ახპილოგოვს. ცხადია, ეს გარემოება კიდევ უფრო ზრდის საბჭოთა ნაკრების დანიაში გამოსვლისადმი ინტერესს.

ესპანეთისა და ისლანდიის ნაკრები გუნდები შედარებით იოლი მეტოქეები იქნებიან, მაგრამ არც ისე უნდა მოხდეს, როგორც ეს შარშან ნოემბერში „კარპატის თასის“ გათამაშების დროს მოხდა. მაშინ ჩვენმა ნაკრებმა ესპანელთა წინააღმდეგ გადამეტებული თვითდაჯერებით ითამაშა და მასზე სუსტ მეტოქესთან მატჩი წაგო — 22:24.

საბჭოთა ნაკრებს — მონრეალის ოლიმპიადის გამარჯვებულს მსოფლიო ჩემპიონატებში ჯერ არ მოუპოვებია საპრიზო ადგილი. ყველაზე საუკეთესო, IV ადგილი სსრ კავშირის ნაკრებმა 1967 წელს დაიკავა, ეს მაშინ, როცა მას სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. შარაშიძე ხელმძღვანელობდა. მაშინ საბჭოთა ხელბურთი საერთაშორისო სარბიელზე შედარებით ახალგაზრდა იყო. ახლა? — ახლა ჩვენმა სპორტსმენებმა უკვე დიდი გამოცდილება შეიძინეს, მათი თამაშის კლასი თანამედროვე სტანდარტების სიმაღლეზეა და, ცხადია მათგან მეტს მოველით.

ჯ. ენუქიძე.

ბ. გულკო — ი. ლორეშანი

კალათბურთი

ლიდერობს ტბტ

ლენინგრადში დამთავრდა კალათბურთელ ქალთა მეორე წრის მატჩები. დასკვნითი ეტაპის წინ (პირველ ექესიულში გათამაშდება პირველი ექესი ადგილი, მეორეში VII-XII ადგილები) ჩემპიონობისა და საპრიზო ადგილების მაძიებელთა სატურნირო მდგომარეობა ასეთია: ტბტ (რიგა) — 21 ქულა, „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) — 19, „კიბორკშტისი“ (ვილნიუსი), „სპარტაკი“ (ლენინგრადი) და „დინამო“ (მოსკოვი) — 15-15, ცსკა — 11 ქულა.

მარჯვედ იგრძლეს

ამერიკელი ტურნეს ბოლო, მეხუთე მატჩი სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა გამართა სპრინგფილდში, სადაც დამამცხა კონექტიკუტის შტატის უნივერსიტეტის გუნდი ანგარიშით 91:70. ამგვარად, საბჭოთა სპორტსმენებმა კალათბურთის სამშობლოში მოწყობილი 5 მატჩიდან 4 მოიგეს და მხოლოდ ერთი წააგეს. ამ ტურნეში სსრ კავშირის ნაკრები გადახალისებული, ახალგაზრდული შემადგენლობით გამოდიოდა და შესაფერი ბრძოლისუნარიანობა გამოაჩინა.

ფეხბურთი

„ნედლეულის“ პრიზზე

მოსკოვსა და ლენინგრადში დამთავრებულ ფეხბურთელთა საკავშირო ტურნირებში „ხედელიას“ პრიზზეა რომ, მოსკოვის „ტორპედომ“ და ვოროშილოვგრადის „ზარიამ“ მოიპოვეს, მკითხველმა უკვე იცის. ახლა გთავაზობთ დასკვნითი შეხვედრების ყველა შედეგს:

მოსკოვი. მატჩი I ადგილისათვის: „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — 2:0; III ადგილისათვის: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — ცსკა — 1:0; V ადგილისათვის: „პახტაკორი“ (ტაშკენტი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა)—2:0; VII ადგილისათვის: „კირატი“ (ალმა-ათა) — „ბოგემიანსი“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — 4:2.

ლენინგრადი. მატჩი I ადგილისათვის: „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „დინამო“ (კიევი) — 1:1, პენალტების სერიით 5:3; III ადგილისათვის: „ნეფტჩი“ (ბაკო) — „ზენიტი“ (ლენინგრადი) — 1:1, პენალტების სერიით 4:2; V ადგილისათვის: „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (ლენინგრადი) — 0:0, პენალტების სერიით 5:3.

რედაქტორის მოადგილე
ვ. ქარუმიძე.

ადამიანი ადამიანისთვის

ულაჭონლო ოპერაცია...

ტანმორჩილმა, წვერგაუპარსავმა, შავგვრემანმა კაცმა ერთ დღეს რამდენიმე გზა გაკეთა თბილისსა და სოფელ კაკაბეთს შორის. იგი „ეიგუიტერი კაფელის“, „ვოლგებითა“ და „მოსკვიჩებით“ დაჰყავდათ გახარებულ ხალხს. ამ კაცს ელოლიავებოდნენ მანქანაში მსხდომნი და ნეტარებით შესცქეროდნენ. პატიცემული არამაის მკრტჩიანიც თაფლივით დამტკბარიყო:

—ჯერ ეს ირანული კაფელი წაიღე, შემთხვევით მიიღეს, ხელიდან ნუ გაუშვებ, კვადრატულ მეტრს 25 მანეთად მოგცემთ. ისე დანარჩენსაც მოგიხერხებ თბილისში, თი იქ, სადაც მნახეთ, კახეთის გზაზე „პეპელასთან“ „საქტარის“ თბილისის ბაზაში. იქ მოვილაპარაკოთ ესპანური ლინოლეუმი გინდა თუ გერმანული, შპალური ფინერიც შეიძლება მოგიხერხოთ და სხვა იმპორტულიც, „სმესიტელები“, აბაზანა, პარსაბანი, ონკანები. ერთი სიტყვით, ყველაფერს გიშოვით.

ამ ლაპარაკში დაიღია გზა თბილისიდან კაკაბეთამდე. ა. მკრტჩიანი შინაური კაცი იყო საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს „საყოფრემშენის“ ტრესტის სიღნაღის ინდბინათმშენებლობის სამმართველოს უფროსის ბ. ოსიპოვისათვის, და მორიგ „მსხვერპლს“ 31 კვადრატულ მეტრ კაფელში 775 მანეთი გამოართვეს.

კაკაბეთის სამშენებლო უბანი იმისათვის შეიქმნა, რომ საგარეჯოს რაიონსა და მის სოფლებში ინდივიდუალური შეკვეთით კერძო ბინები ააშენოს და შეაკეთოს. ამიტომ კაკაბეთის უბანს გამოუყვეს სამამულო წარმოების კაფელი, მოდას აყოლილნი სათოფიფეზე არ ეკარებიან ჩვენებურ არცთუ ურიგო კაფელს. ოღონდ იმპორტული იყოს და ტუალეტში ძვრებიან მის საშოვნელად. ეს კარგად იცის „საყოფრემშენის“ ტრესტში მოკალათებულმა ზოგიერთმა უსინდისო აღამიანმა და ამიტომ არაფერი არ დაიშურეს, რომ სოფელ კაკაბეთის საწყობში სამამულოს ნაცვლად იმპორტული კაფელი შემოეზიდათ. „მთავარმომარაგების“ რესურსების სამმართველოს უფროსის ა. მენოუშაშვილის ხელმოწერილი საბუთით, რომელიც დამოწმებულია „მთავარმომარაგების“ მმართველის ა. ბუაძის მიერ, კაკაბეთში თავი ამოყო 1000 კვადრატულმა მეტრმა იმპორტულმა კაფელმა.

არ. გეგონოთ, რომ ამ კაფელით საგარეჯოელთა სამზარეულოები და აბაზანები მოეპირკეთებინოთ. არა, თითქმის მთელი კაფელი თბილისელებმა მამასისლად იყიდეს ა. მკრტჩიანისა და სხვა სპეციალისტების შუამავლობით. მაგრამ ქაღალდი თურმე ყველაფერს იტანს, და ზ. ოსიპოვმა მამასისლად გაყიდულ კაფელზე „საყოფრემშენის“ ტრესტის სიღნაღის ინდბინათმშენებლობის სამმართველოს უფროსის ბ. ოსიპოვისა და ხელისშეწყობით გაავფორმა ყალბი შეკვეთა — ხელშეკრულებები, თითქოს კაკაბეთის მოპირკეთების სამუშაოები შეესრულებინოთ და საჭირო გასამრჯელოც მიეღოთ. (ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის ვ. სობოლევის ბრძანებით „საყოფრემშენის“ ტრესტის სიღნაღის ინდბინათმშენებლობის სამმართველოს უფროსი ბ. ჩახნაშვილი და სხვა დამნაშავე პირები მოხსნილნი არიან).

სპეკულანტი ა. მკრტჩიანი, როგორც სამსახურში, ისე ცხადდებოდა ხოლმე „საქტარის“ ხე-ტყის სავაჭრო საწარმოს ბაზაში. უმისოდ და მისი შუამავლობის გარეშე არც ერთი დეფიციტური საშენი მასალა თუ სანტექნიკის მოწყობილობა არ გაიცემოდა.

რატომ გადაუსვეს ხელი მთავარ დამნაშავეებს?

□

იგი უშუალო კონტაქტის დამყარებელი იყო ამ საწარმოს დანაშრომლებსა და მომხმარებლებს შორის. მას ოჯახში აღმოაჩნდა დეფიციტური კაფელის, ლინოლეუმის, შპალერის, შემრევების და სხვა მასალების ნიმუშები. აგრეთვე ჩანაწერები, თუ მავან და მავახს რემონტისათვის რა სჭირდება და როდის მიუტანოს. მასვე აღმოაჩნდა ამ ბაზის სასაქონლო ჩეკები. ამიტომ „მთავარმომარაგების“ „საქტარის“ ტრესტის აღნიშნულ ბაზაში საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს სოცსაკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს მუშაკებმა მოაწყეს შერჩევითი ინვენტარიზაცია. გამოიკვეა, რომ 21 ათასი მანეთის ფეფიციტური საშენი მასალებიდან 14 ათასი მანეთის მასალების დანაკლისი აღმოჩნდა, მათ შორის 250 ცალი იმპორტული უნიტაზი, 70 ცალი იმპორტული გაზქურა, 60 ცალი ობაზანა, 200 კვადრატული მეტრი ფანერა...

დანაკლისისათვის თავზე ხელს არავინ გადაგვისვამს. ამიტომ დატრიალდნენ ბაზის თანამშრომლები ა. დვალი და ნ. კობერიძე, მოიქექეს ჯიბეები. აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ და ერთმა შვიდი ათასი მოარბენინა, მეორემ — ორი ათასი, მათ არც მუშა შ. ხუროცლავა ჩამორჩა, იმანაც ორი ათასი მანეთი მოიტანა, რეკვიზორებმა კარადის ქვემოდან გადამალული შვიდასი მანეთი ამოვეს.

ზემოთ დასახელებული დეფიციტური მასალები უნდა გაყიდულიყო „საქტარის“ სამშენებლო და სანტექნიკური მასალების მაღაზიებში, მაგრამ მათ ა. დვალი, ნ. კობერიძე საწყობში ყიდღნენ და შემდეგ მაღაზიებთან ახდენდნენ უსაქონლო ოპერაციებს.

აი ერთ-ერთი მიზეზი, რომ დეფიციტური სამშენებლო მასალები მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ხელმიუწვდომელია და ამიტომ ისინი ა. მკრტჩიანისნაირ სპეკულანტებისა და მათ ხელშემწყობთა მიერ დაგებულ მახეში ებმებიან ხოლმე.

არ იფიქროთ, რომ „საქტარის“ ცენტრალურ საწყობში საფინანსო დისციპლინის ელემენტარული წესების უგულებელყოფა და არეულდარეულობა მარტო საწყობის მუშაკთა დანაშაულობათა შედეგი იყოს, არა, ორგანოს მუშაკებმა იქ აღმოაჩინეს ასზე მეტი კერძო ბარათი. „საქტარის“ ტრესტის მმართველის მოადგილეობის შემსრულებელი ვ. კანდელაკი, მისი მოადგილე გ. კაკაბაძე, საწარმოს დირექტორი ღ. სანდიერაძე, დირექტორის მოადგილეობის შემსრულებელი რ. ჭუნთელია, ღღე ერთი იყო და, რამდენიმე ბარათს სწერდნენ ა. დვალსა და ნ. კობერიძეს — ამ ბარათის მომტანს უნიტაზი, კაფელი, გაზქურა მიეცეო. როგორც ხედავთ: წყალი სათავეში ამოდგიოეს „საქტარის“ ხელმძღვანელმა მუშაკებმა და საწყობის თანამშრომლებიც მოვრიე წყალში თევზს ოიოდ იჭერდნენ.

ისმება კითხვა: ჰქონდათ თუ არა უფლება „საქტარის“ სავაჭრო საწარმოს ბაზის საწყობში ეგაჭრათ სანტექნიკის დეფიციტური ნაწილებითა და საშენი მასალებით? თუ ამის უფლება ჰქონდათ, მაშინ რატომ აწარმოებდნენ მაღაზიებთან უსაქონლო ოპერაციებს?

ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცა „მთავარმომარაგების“ ხელმძღვანელობას და უპირველეს ყოვლისა მის უფროსს ა. ბუაძეს.

ქ. თბილისის ხე-ტყის სავაჭრო საწარმოს დებულებაში გარკვეული არის აღნიშნული, რომ ხეტყეულ საწარმოს დაკვეთდებარებაშია ხე-ტყისა და საშენი მასალების საწყობები და საშენი მასალებისა და სანტექნიკის მაღაზიები. იქვე წერია: ამ საწარმოს უნდა გააჩნდეს „საქტარის“ ტრესტის მიერ დამტკიცებული ნომენკლატურა (რომელი მასალებით უნდა ივაჭრონ ბაზებმა და რომელით მაღაზიებმა).

არაერთხელ სთხოვეს „საქტარის“ ხელმძღვანელობას, რომ საგამოძიებო ორგანოებისათვის ეს წარედგინათ აღნიშნული ნომენკლატურა, მაგრამ ამაოდ... ბოლოს, „საქტარის“ ტრესტის მმართველის მოადგილე გ. კაკაბაძე იძულებული გახდა ეთქვა: ამგვარი ნომენკლატურა ჩვენ არ გაგვაჩნიაო.

„მთავარმომარაგების“ ხელმძღვანელობამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, თან ამტკიცებს, დეფიციტური საქონლის გაყიდვა საწყობიდან არავითარი დანაშაული არ არის, იგი ნებადართულია შესაბამისი დებულების მიხედვითო. თუ ასეა, მაშინ რისთვის სჭირდებოდათ ა. დვალსა და ნ. კობერიძეს უსაქონლო ოპერაციები მაღაზიებთან, რომ იტყვიან, შუბი ხალთაში არ დაიმალება.

საკითხავია, როცა „მთავარმომარაგების“ მესვეურებმა შეატყვეს იმ დიდი დანაშაულობების ამბავი, რომლებიც „საქტარის“ ტრესტის სისტემაში ხდებოდა, რა ღონისძიებები განახორციელეს დამნაშავეთა დასასჯელად და დანაშაულობათა აღსაკვეთად?

თურმე ყველაფერში დამნაშავეები ანზორ დვალი და ნოდარ კობერიძე ყოფილან, ჯობიც მათ ზურგზე გადატეხეს და ისინი თანამდებობიდან გადააყენეს. რატომ გამორჩა ის ხელმძღვანელები, რომელთა ინიციატივითა და ხელშეწყობით ხდებოდა ესოდენ სერიოზული დარღვევები და დანაშაულობანი „საქტარის“ თბილისის ხე-ტყის სავაჭრო საწარმოს ბაზაში? საინტერესოა, რატომ გადაუსვეს ხელი მთავარ დამნაშავეებს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურებაში დარღვევებთან ბრძოლის საკორდინაციო კომისიამ „მთავარმომარაგების“ ხელმძღვანელებს მიუთითა, რომ მათ მიერ მიღებული დადგენილება ლიბერალურია და მკაცარ პარტიულ, ადმინისტრაციულ ღონისძიებებს უნდა მიმართონ „საქტარის“ პასუხისმგებელი მუშაკების მიმართ. ამის შემდეგ იმსჯელა „მთავარმომარაგების“ კოლეგიამ და „საქტარის“ ტრესტის მმართველის მოვალეობის შემსრულებელი ვ. კანდელაკი, მისი მოადგილე გ. კაკაბაძე, საწარმოს დირექტორი ღ. სანდიერაძე, დირექტორის მოადგილეობის შემსრულებელი რ. ჭუნთელია, დღე ერთი იყო და, რამდენიმე ბარათს სწერდნენ ა. დვალსა და ნ. კობერიძეს — ამ ბარათის მომტანს უნიტაზი, კაფელი, გაზქურა მიეცეო. როგორც ხედავთ: წყალი სათავეში ამოდგიოეს „საქტარის“ ხელმძღვანელმა მუშაკებმა და საწყობის თანამშრომლებიც მოვრიე წყალში თევზს ოიოდ იჭერდნენ.

ისმება კითხვა: ჰქონდათ თუ არა უფლება „საქტარის“ სავაჭრო საწარმოს ბაზის საწყობში ეგაჭრათ სანტექნიკის დეფიციტური ნაწილებითა და საშენი მასალებით? თუ ამის უფლება ჰქონდათ, მაშინ რატომ აწარმოებდნენ მაღაზიებთან უსაქონლო ოპერაციებს?

ამ კითხვებზე პასუხი უნდა გაეცა „მთავარმომარაგების“ ხელმძღვანელობას და უპირველეს ყოვლისა მის უფროსს ა. ბუაძეს.

ქ. თბილისის ხე-ტყის სავაჭრო საწარმოს დებულებაში გარკვეული არის აღნიშნული, რომ ხეტყეულ საწარმოს დაკვეთდებარებაშია ხე-ტყისა და საშენი მასალების საწყობები და სანტექნიკის მაღაზიები. იქვე წერია: ამ საწარმოს უნდა გააჩნდეს „საქტარის“ ტრესტის მიერ დამტკიცებული ნომენკლატურა (რომელი მასალებით უნდა ივაჭრონ ბაზებმა და რომელით მაღაზიებმა).

არაერთხელ სთხოვეს „საქტარის“ ხელმძღვანელობას, რომ საგამოძიებო ორგანოებისათვის ეს წარედგინათ აღნიშნული ნომენკლატურა, მაგრამ ამაოდ... ბოლოს, „საქტარის“ ტრესტის მმართველის მოადგილე გ. კაკაბაძე იძულებული გახდა ეთქვა: ამგვარი ნომენკლატურა ჩვენ არ გაგვაჩნიაო.

„მთავარმომარაგების“ ხელმძღვანელობამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, თან ამტკიცებს, დეფიციტური საქონლის გაყიდვა საწყობიდან არავითარი დანაშაული არ არის, იგი ნებადართულია შესაბამისი დებულების მიხედვითო. თუ ასეა, მაშინ რისთვის სჭირდებოდათ ა. დვალსა და ნ. კობერიძეს უსაქონლო ოპერაციები მაღაზ